

## რეკომენდაციები

### აცტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანისათვის

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც საფუძველი ჩაეყარა პირველი ქართული ენციკლოპედიის გამოცემის დიდ საქმეს, ბუნებრივია, სარედაქციო კოლეგიის წინაშე დაისვა ბერძნულ და ლათინურნოვან სახელთა ქართულად გადმოტანის უნიფიკაციის საკითხი. 1970 წელს მიიღეს სპეციალური დადგენილებაც, რომლის ძალითაც ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას დაევალა უცხოური საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონების შედგენა. პირველ წიგნად 1980 წელს გამოვიდა „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც შეადგინა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სალიტერატურო კონტროლის რედაქციის უფროსმა სამეცნიერო რედაქტორმა კონა გიგინეიშვილმა, ხოლო რედაქცია გაუკეთეს ცნობილმა მეცნიერებმა ივ. გიგინეიშვილმა, აკ. ურუშაძემ და მ. ჭაბაშვილმა. წიგნის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია „ბერძნულ და რომაულ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის წესები“. მიუხედავად ამისა, შემდგომი დროის თარგმანებსა და ანტიკურობასთან დაკავშირებულ სამეცნიერო გამოკვლევებში მაინც შეინიშნებოდა გარკვეული დაბნეულობა სახელთა გადმოქართულების თვალსაზრისით. დაიბადა მრავალი კითხვა: თუ „ჰომეროსი“ გადმოგვაქვს -ის დაბოლოებით, რატომ გადმოგვაქვს სხვა მსგავსდაბოლოებიანი სახელები სხვაგვარად (მაგ.: პინდარე)? ან რატომ ხდება -ას და -ეს დაბოლოებიან სახელებში სიგმის უგულებელყოფა? ან რომელი სახელები გადმოგვაქვს ფუძის ფორმით და რომელი არა და ა.შ.

დღეს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში მიმდინარეობს ანტიკური მემკვიდრეობის ყოველმხრივი ათვისება, როდესაც მითოლოგიური, ენათმეცნიერული, ლექსიკოგრაფიული თუ სხვა სახის ენციკლოპედიების, სახელმძღვანელოების, თარგმანების, მონოგრაფიების გამოცემის საშუალებაც არსებობს და ამ საქმეთა განმხორციელებელი პროფესიონალებიც იღვნიან, აუცილებელი გახდა ტერმინთა გადმოტანის შედარებით გაიოლებული პრინციპის დადგენა, რომელიც ერთდროულად გაითვალისწინებს როგორც ქართულ, ასევე თანამედროვე ევროპულ ენებში დომინირებულ ტენდენციებს. ძველბერძნულ-ქართულ ურთიერთობათა კვლევას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა. დღეს არავინ მიიჩნევს სადავოდ ამ ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი ტრადიციის არსებობას, რამეთუ მან თავისი ასახვა პპოვა ზეპირსიტყვიერებაშიც, მითოსშიც, მხატვრულ ლიტერატურაშიც, ისტორიოგრაფიაშიც და სხვა სფეროებშიც. რაც შეეხება ანტიკური ხანის ძეგლთა ქართულად თარგმნის ისტორიას, აქ შეიძლება ორი უმთავრესი ეტაპი გამოიყოს:

**პირველი ეტაპი** უძველესი საუკუნეებიდან XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. ეს იყო მრავალ-საუკუნოვანი პერიოდი, როდესაც ანტიკურ მემკვიდრეობასთან ზიარება განსაკუთრებული ინტენსივობით ბიზანტიური სამყაროს გავლით ხორციელდებოდა. ეს გზა იძლეოდა როგორც წერილობითი, ასევე უშუალო კონტაქტების დამყარების შესაძლებლობას.

ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის უძველესი ძეგლების ბერძნული ენიდან თარგმნისას, ბუნებრივია, მთარგმნელთა წინაშე მრავალ სხვა სირთულესთან ერთად საკუთარი სახელების გადმოტანის პრობლემაც იდგა. ეს, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ზეპირი გზით შემოსული სახელები ენობრივი ნორმების დაცვის გარეშე ვრცელდებოდნენ. ალბათ, პირველად სახელთა გადმოტანის უნიფიკაციაზე მაშინ დაფიქტდნენ, როდესაც საქართველოში ფართოდ გაიშალა მთარგმნელობითი საქმიანობა უმთავრეს სამონასტრო კერებში, იქ, სადაც მოლ-

ვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიში და სხვანი. „XI საუკუნიდან შავ მთაზე ქართველ მოღვაწეთაგან იწყება ფილოსოფიური და თეოლოგიური ლიტერატურის ათვისება და თარგმნა-კომენტირება, რაც შემდგომ გრძელდება და ღრმავდება გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურულ სკოლაში. რადგანაც ბერძნულ ენაშივე ტერმინთა პოლისემია და გაურკვევლობა („ბერძნთა ენაზ უფსერულ ღმა არს და ერთი და იგივე სიტყუა მრავალსა პირსა აღიარებსო“), ხოლო ხშირად ელინური ფილოსოფიური ტერმინების სხვაგვარი (ზოგჯერ სრული-ად საპირისპირო) გაგება ქრისტიანულ დოგმატიკაში ხშირად მწვალებლობის მიზეზი და ცხარე საეკლესიო დისკუსიების საბაბი ხდებოდა (საქამარისია დავასახელოთ ისტია „არსება“ და უპირატო „გუამი პირი“-ს ურთიერთაღრევის მაგალითი, რაც არიოზისა და შემდგომშიც არაერთი წვალების წყარო გამხდარა), ამავე დროს, რადგანაც ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია მოითხოვდა დახვენასა და დაზუსტებას, გაიზარდა მოთხოვნილება ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ხასიათის თხზულებათა ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა (დამანა მელიქიშვილი, „გელათი, სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“, თბილისი, 2006, გვ. 5). ეს საკითხი საგულდაგულო კვლევას მოითხოვს, თუმცა თვალის ერთი შევლებითაც ნათელია, რომ შუა საუკუნეთა სახელოვანი ელინო-ფილი მთარგმნელები ცდილობდნენ ერთიანი პრინციპის დაცვას, ამასთანავე გვერდს ვერ უვლიდნენ მყარად ფესვგამდგარ ტრადიციას. შესაბამისად, უკვე შუა საუკუნებში შეინიშნება საკუთარ სახელთა გადმოქართულების ორი ძირითადი ტენდენციის არსებობა: ა) ზეპირი გზით შემოსული სახელები წოდებითი ბრუნვის ფორმით დამკვიდრდა ქართულ ტრადიციაში (მაგ: თევდორე, არის-ტოფანე); ბ) ლიტერატურულმა გზამ აკადემიურ ფორმას მიანიჭა უპირატესობა (პომეროსი, პინდაროსი, არტემისი და სხვა).

**მეორე ეტაპი** დაიწყო XVIII საუკუნიდან. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველოში ქართულ-რუსულმა კულტურულმა ურთიერთობებმა იმძლავრეს. რუსული ენიდან ქართულად მრავალი თხზულება ითარგმნა, მათ შორის ანტიკურ სამყაროსთან დაკავშირებული ძეგლებიცა და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიც. შესაბამისად, დიდი იყო რუსული ენის გავლენა, რომელმაც თავისი დაღი დაასვა ტერმინოლოგიურ მხარესაც. კერძოდ, ქართულ ენაში თანდათან მოიკიდა ფეხი რუსულ მთარგმნელობით პრაქტიკაში დამკვიდრებულმა წესმა, რაც სახელთა ფუძისული ფორმით გადმოტანას გულისხმობდა. ამას დაერთო ისიც, რომ რუსული ენა ერთმანეთისგან განასხვავებს სქესა. შესაბამისად, მდედრობითი სქესის ფორმებისათვის მას გააჩნია საკუთარი დაბოლოება (აფროდიტა). ქართულმა ენამ მიიღო რუსულიდან მდედრობითი სქესის ფორმით შემოსული სიტყვები, მაგრამ პარალელურად, ძველი ტრადიციის გავლენით, წარმოქმნა თავისიც (აფროდიტე). მსგავსი პარალელიზმები უხვად დაიძებნება.

ამ და სხვა გაუგებრობათა მოსახსნელად ანტიკური ხანის ლიტერატურულ წყაროებზე მრავალწლიანი დაკვირვებისა და ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ვარჩიეთ, უპირატესობა მიგვენიჭებინა ბერძნულ და რომაულ სახელთა გადმოტანის პიზანტიური ეტაპისათვის, რომელიც, არსებითად, ემთხვევა თანამედროვე ევროპულ ტრადიციას. თვალსაჩინოების მიზნით გთავაზობთ ზოგიერთ ამონარიდს ძველი თარგმანებიდან, რომლებიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დავალაგეთ:

## ომეროს

„და პირველთა მათ ომეროსისთა წარმოიღებდა სტრიქონთა, რომელი იგი მათ ყოველთა მიერ სიტყვსმოქმედთა განსაკვირვებელ იყო და თქვა ესრეთ: არა კეთილ არს მრავალუფლებად ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფლე“.

ევსევი კესარიელის „პროკოპის მარტვილობის“ ქართული თარგმანი

შესრულებული უცნობი ავტორის მიერ. იხ. პ. ინგოროვა, გიორგი  
მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 52.

VII საუკუნე.

ომიროს

„ამისთვისცაი მიამსგავსა ომიროს რიცხვი იგი კად თაა მათ წიგნთაა  
ებრაელთაა კად სა მას ასოსა გამოსახულსა აღრაცხილსა, და მანცა  
თვისი იგი წელოვნებაა წლიადოხსი კად ნი დაჩხიბული კად ითა მის“.

ოდისევს

ასოთა მიამსგავსა. აგრეთვე კუალად ოდისევს“.

„სასწავლო წიგნი“, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული.  
იხ. ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი, თსუ  
მოამბე. III. თბილისი, 1923, გვ. 405.

VIII-IX საუკუნე.

ქსერქსეს

„.... ვინდა მომცეს მოქმედებაი იგი დღითი-დღედი? ვინ მეშეშეობად  
და მკუეთელობად? ვინ – მნერგველობად და მწყლველობად? ანუ ვინ –  
ხე იგი ძელქვისაა, უფროვასლა ოქროვსლა უპატივოსნესი ნერგსა მას  
ქსერქსისსა, რომლის ქუეშე მჯდომარე იყო არა მეფე განლალებული,  
არამედ მონაზონი შეკნინებული?“

აპოლო

„ნერგსა მას ვიტყვა, რომელი მე დავასხ, აპოლო მორწყო, შენმან მაგან  
პატივოსნებამან, ხოლო ღმერთმან აღაორძინა პატივად ჩუენდა...“

გრიგოლ ნაზიანზელი, II ეპისტოლე. თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ.  
იხ. ნ. ქაჯაია, გრიგოლ ნაზიანზელის ეპისტოლეთა ძველი ქართული  
თარგმანები, მრავალთავი, XII, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი,  
თბილისი, 1986წ. გვ. 119.

XI საუკუნე

ელისპონტოს

„შ ქუეყანაო და მზეო და სათნოებაო, რათა მცირედრე მომლერალ  
ვიქმნე, – არა რათა ელისპონტოსა შევეუღლენეთ, არამედ რაითა  
დავავაკოთ მთხრებლები“.

გრიგოლ ნაზიანზელი, III ეპისტოლე. თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ  
(იქვე, გვ. 120).

XI საუკუნე

პინდაროს

„.... გულისხმაყავ, რასა უკუე ესე ვიტყვა, იტყვს პინდარიოს, და უკუე-  
თუ ჰპოვო ჩემი ესე უქმოებაა უმჯობეს შენისა ენამჭევრობისა, დას-  
ცხერ მომზრახობად ჩვენთვს მდუმაროებისა, რომლისათვს გეტყვ შენ

იგავსა ამას ფრიად რამე ჭეშმარიტებით და ფრიადცა შემოკლებულად, ვითარმედ: “მაშინ მეტყუელებენ კჰკნონი, რაჟამს ჩიტნი მდუმარე იყვნენ“.

გრიგოლ ნაზიანზელი, VI ეპისტოლე. თარგმნილი ეფრემ მცირეს მიერ. (იქვე, გვ. 121).

## XI საუკუნე

### ბელეროფანტეს

„რამეთუ მამულსა ველლეროფანტესსა აღმოეცენა მწევეცი რამე სამცხოველი, რომელსა წინაკერძოდ იყო ლომისად, და უკუანა კერძოდ იყო მფრინველისად, ხოლო საშუალი მისი – ფრინველი“.

### X L III, 8

Pseudo – Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio iberica, ed. Tamar Otkhmezuri, Corpus Christianorum, series Graeca 50, Corpus Nazianzenum 16, Turnhout Leuren, 2002. Index.

### ემიროს

„არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხე მაქებელსა ემიროსს, რამეთუ ოცდა რვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა რა ლირსი ქებისა იქმნა“.

დავითის ისტორიკოსი.

ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342 ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

## XII საუკუნე.

### პრიამოს

„და უმეტეს ამისსა არა განცუდნა ხრიზმოზიცა იგი პრიამოსის მეფისა ასიელთასა“.

დავითის ისტორიკოსი.

ქართლის ცხოვრება, II, გვ. 205 ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმ. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

## XII საუკუნე.

### არტემის

„გიორგი მეფე იყო მონადირე არტემის სახედ, რომელი ითქუმის მთაფოლო, რომელ არს ლმერთი მონადირე“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ წიგნში: კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, ტფ., 1938, გვ. 3-4.

### XIII საუკუნე.

#### ტანტალოს

„ტანტალოს რომელნიმე ესრეთ ზღაპრობენ, ვითარმედ, მოყუარე და თანამესუმურ და ყოველთა ხუაშიადთა ღმერთთასა მეცნიერ იყო და მიმნდობელად მყოფი უცნაურთა მათთა გამოუცხადებდა კაცთა“.

იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე. ივ. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 118.

### XI საუკუნე

#### კენტავროს

„რამეთუ ვინ ჰეგავნ წორციელი ანუ ვინ იხილა ესოდენ განმარჯუებელი ნადირობასა შინა, მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობის დაკეთილ – მმართველობისათვს ალექსანდრე. სპათა შორის მჯობად და აქილევსი კენტავროსისგან მოისრობასა ელინთა შორის“.

დავითის ისტორიკოსი. იხ. ი. აბულაძე, „ელინთა ზღაპრობანი“, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 348-349.

### XII საუკუნე

#### პლუტარხოს

„რომლისა შესხმად წამს ჰომიროსისა მიერ (საუბარია თამარ მეფეზე – ნ.ტ.). რაბამ იგი ადიდა სიტყუად ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომმაღვლელმან ისტორიათა მწერლობასა შინა წელმწიფეთა შემასხმელობისასა?“

„ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 363, კ. კეკელიძის გამოცემა, თბილისი 1941, გვ. 54.

### XIII საუკუნე.

ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ორთოგრაფიის კანონზომიერებათა დასადგენად ამ კუთხით მიზანმიმართულმა კვლევამ აჩვენა:

I. საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემისას უპირატესობა ენიჭება სახელობითი ბრუნვის ფორმას:

ავგუსტუსი	ლუკიანუსი
ანაკრეონი	ლუკრეციუსი
აპულეიუსი	მარციალისი
არტემისი	მენანდროსი
არქილოქოსი	ნონოსი
ბოეთიუსი	პინდაროსი
გენუსი	პლავტუსი
ვერგილიუსი	პლუტარქოსი
თეოკრიტოსი	სალუსტიუსი
თუკიდიდესი	ტაციონიუსი
იუვენალისი	ტერენციუსი
კალიმაქოსი	ქარიტონი
კატულუსი	ქსენოფონი
კვინტილიანუსი	ჰელიოდოროსი
ლონგოსი	და სხვა.

გამონაკლისები:

ალექსანდრე	პლატონი
არისტოტელე	პრომეთე
არისტოფანე	სოფოკლე
დიონისე	ციცერონი
ევრიპიდე	ჰერაკლე
ესქილე	ჰესიოდე
	და სხვა.

II. ზოგიერთ ასოთა და ასოთშეთანხმებათა გადმოტანისას შეინიშნება მკვეთრად გამოხატული თავისებურებანი:

- a. ძველბერძნული საკუთარი სახელებისათვის  
თანხმოვნები და თანხმოვანთა ჯგუფები:

1. ζ → δ

- ძაგრევსი (Ζάγρευς)  
ძევქსიპოსი (Ζευξίππος)  
ძეთოსი (Ζῆθος)

### გამონაკლისები:

ზევსი (Ζεύς)

ზოდიაქო (Ζωδιακός)

2. σ → ς

სელენე (Σελήνη)

პერსეფონე (Περσεφόνη)

მესენია (Μεσσηνία)

### გამონაკლისები:

აზია (Ἄσιας)

მედუზა (Μέδουσα)

მუზა (Μοῦσα)

ანგელოზი (Ἄγγελος)

3. χ → ψ

აქილევსი (Αχιλλεύς)

ფსიქე (Ψυχή)

ქაოსი (Χάος)

### გამონაკლისი:

ყველა სახელი, სადაც გვხვდება \_χθ\_ კომპლექსი. მაგ.: ხთონოსი (Χθόνος)

4. ψ → φ

5. κτ → ρ

პელოფსი (Πέλοψ)

აქტეონი (Άκταιών)

კალიფსო (Καλυψώ)

პოლიდექტესი (Πολυδέκτης)

ფსელოსი (Ψελλός)

ფილოქტეტესი (Φιλοκτήτης)

### ხმოვნები და ხმოვანთა ჯგუფები

ა) ხმოვანთა ჯგუფები, რომლებიც არ ქმნიან დიფთონგებს რჩებიან უცვლელად:

1. αη → აე

4. ηε → ეე

ლაერტესი (Λαέρτης)

ეეტიონი (Ἑτίων)

დანაე (Δανάη)

5. οη → ოე

2. αι → აი

კალიროე (Καλλιρρόη)

ლაიოსი (Λαῖος)

ალკითოე (Άλκιθοη)

აგლაია (Άγλαια)

6. ω (օ)օ → ოო

ηι → ეი

აქელოოსი (Άχελώος)

ბრისეიისი (Βρισηΐς)

პირითოოსი (Πειρίθοος)

ნერეიისი (Νηρηΐς)

3. εου → ეუ

7. υ → ი

კრეუსა (Κρεούσა)

პოლიბიოსი (Πολύβιος)

კალიფსო (Καλυψώ)

ბ) ხმოვანთა ჯგუფები, რომლებიც ქმნიან დიფთონგებს, ამჟღავნებენ გარკვეულ თავ-ისებურებებს:

1. αι → ο

დედალოსი (Δαίδαλος)  
ეაკოსი (Αἰακός)

გამონაკლისები:

აია (Αἴα)

აიეტი (Αἴτης)

აიასი (Αἴας)

მაია (Μαΐα)

2. αυ → ავ

ავგიასი (Αὐγείας)

ავტონოე (Αὐτόνοη)

3. ευ → ევ

ალკიონევსი (Άλκυονεύς)  
დევკალიონი (Δευκαλίων)

4. ὡο → ὡი

ოიდიპოსი (Οἰδίπους)  
კროისოსი (Κροῖσος)

5. ει

ა) თანხმოვნის წინ → ο

დეიანირა (Δηϊάνειρα)  
სირენები (Σειρῆνες)

ბ) ხმოვნის წინ → ე

მედეა (Μήδεια)  
ჰიპოდამეა (Ιπποδάμεια)

#### ბ. რომაული საკუთარი სახელებისათვის ხმოვნები და ხმოვანთა ჯგუფები:

1. J → ο

იანუსი (Janus)

იუნო (Juno)

აპულეიუსი (Apulejus)

ტრაიანუსი (Trajanus)

3. ae → ე

ესკულაპიუსი (Aesculapius)

ემილიუსი (Aemilius)

გამონაკლისი:

გამონაკლისი:

კეისარი (Caesar)

პომპეუსი (Pompejus)

4. oe → ე

კლეილიუსი (Kleelius)

პენიუსი (Poenius)

2. Y → ο

სკილა (Scylla)

## თანხმოვნები და ბგერათა ჯგუფები:

1. C → კ ან ც  
კერესი (Ceres)  
კეისარი (Caesar)  
კელიუსი (Coelius)  
ციცერონი (Cicero)  
ცინა (Cina)  
მეცენატი (Mecenas)
2. F (ph) → ფ  
ფლორა (Flora)  
ფილიპუსი (Philippus)
3. H → ჰ  
ჰერკულესი (Hercules)  
ჰოსტილიუსი (Hostilius)
4. s → ს(ზ)  
დრუსუსი ან დრუზუსი (Drusus)  
აუსონიუსი ან ავზონიუსი (Ausonius)
5. t → ტ ან ც (i-ს წინ, თუ მოსდევს ხმო-ვანი)  
ეგნატიუსი ან ეგნაციუსი (Egnatius)  
ლატიუმი ან ლაციუმი (Latium)
6. x → ქს  
მაქსიმუსი (Maximus)  
აქსიუსი (Axius)
7. ch → ჭ  
გრაკელუსი (Gracchus)  
ქალკისი (Chalcis)
8. qu → კვ  
ტარკვინიუსი (Tarquinius)  
კვირინუსი (Quirinus)